

მალაკელიძე თამაზ ალექსანდრეს ძე

მალაკელიძე თამაზ ალექსანდრეს ძე (დ. 14. III. 1947, ხულო), პულმონოლოგი; მედ. მეცნ. დოქტორი (1987), საქართვე. ეროვნული პრემიის ლაურეატი(2015).

1970 – 71 მუშაობდა ქ. ბორჯომში, სანატორიუმ „ ლიკანის“ თერაპევტად; 1971 – 77 იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის პულმონოლოგიის კათედრის უფრ. ლაბორანტი, ასისტენტი (1977 – 91), დოცენტი (1991-95), პროფესორი (1995 – 2006).

თბილ. სახელმწ. სამედიცინო აკადემიის ჯერ, ფარმაცევტული (1990 – 94) და შემდეგ (1994 – 96) სამკურნალო ფაკ-ტის დეკანი. 1998 – 2007 - ივ. ჯავახიშვილის უნ-ტის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 2005 – 2009 - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯ-რე, 2007 – 2012 - გენ. დირექტორის I მოადგილე, 2015 -იდან - თსუ-ს პროფესორი.

2012 -იდან გერმანულ-ქართულ კლინიკა „შპს დიაგნოსტიკური სერვისის“ პულმონოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; 2015 -იდან შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ პულმონოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

მ.არის 2007 -იდან საქართვე. რესპირაციული ასოციაციის პრეზიდენტი; 2004 -იდან - საქართვე. რესპირაციული ჟურნალის მთ. რედაქტორი, 2017 -იდან ჟურნალ „ პულმონოლოგიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (მოსკოვი); 2012 -იდან კლინიკური მედიცინის სამეცნ. - კვლ. ინ-ტის კონსულტანტია; 20017-იდან მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რესპირატორულ დაავადებებთან ბრძოლის გლობალური ალიანსის (GARD) კავკასიის კოორდინატორი, ამავე ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური თავმჯ-რე (2019).

მ. არის მრავალი სამეცნ. შრომის (მ.შ. 4 მეთოდური რეკომენდაციის და 5 გაიდლაინის) ავტორი, რ-იც ეხება რესპირატორული მედიცინის აქტუალურ საკითხებს.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები მ.შ. ღირსების ორდენი (2002).
